ნ 153636

ლელო

№ 7
(11 975)

31 იანვარი, – 2 თებერვალი 2006 წ. ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან • გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.org.ge/lelo

ტოპმიოლერს ტოპ ჯგუფი ერგო

4 ჯგუფი — საფრანგეთი, იტალია, შვეიცარია, შოტლანდია, ლიტვა, საქართველო, ფარერები

ჭიდაობა ფართო პლანით...

ეროვნული ჩემპიონატები დღესასწაულებად იქცა

კახა გეგიაძე

ინსტიტუტის დამკვიდრება-განმტკიცება გვაქვს მხედველობაში.

ალერ, ამ დღეებში, ჭიდაობის ეროვნულმა ფედერაციამ გადადგა ამ გზაზე სოლიდური ნაბიჯი. აქაც ნიჭიერი ახალგაზრდა ორგანიზატორი, ამ ფედერაციის პრეზიდენტი, პარლამენტარი **კახა გეგჩაძე** მოგვეცინა დიდი ხნის ნაოცნებარის საქმედ ქცევის თაოსნად. მისი უშუალო მოწადინებით „სახალხო ბანკი" გახდა ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის გენერალური სპონსორი. ხელი ამ შეთანხმებას მოაწერეს კახა გეგჩაძემ და „სახალხო ბანკის" გენერალურმა დირექტორმა **გიორგი გოგუაძემ**. ნიშანდობლივია, რომ „სახალხო ბანკში" ამ აქტის ცერემონიალს ესწრებოდნენ XXI საუკუნის საქართველოს მსოფლიო ჩემპიონები, სახელგანთქმული ფალავნები **ლუკა კურტანიძე** და **რევაზ მინდორაშვილი**, ფედერაციის პრეზიდენტთან, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ **გურამ საღარაძესთან** და **თამაზ გეგეშიძესთან** ერთად.



სპონსორად, სადაც ბანკი ფიგურირებს, რაღა თქმა უნდა, მთავარ საკითხად მოიაზრება ფინანსური მხარდაჭერა არ არის დასამალი, რომ ჩვენს მოქიდავეებს წლის განმავლობაში უამრავი შეჯიბრებები ელით მთელ მსოფლიოში და ფედერაციის ფინანსური ხელმოკლეობით არ უნდა დაიჩაგრონ ათლეტები. სწორედ ამ ხარვეზს შეავსებს „სახალხო ბანკიც" ფედერაციის მეგობრობა. მეტიც, თანხები მობილიზება ჩვენს ქვეყანაში სპორტის ამ სახეობის ინფრასტრუქტურის განვითარებასაც. გენერალური სპონსორი თავს მთელილედ ჩაოვლის სხვა სპონსორების მოძიებასა და მათთან ურთიერთობების განმტკიცებაშიც დაეხმარის ფედერაციას.

როგორც ვთქვით, 30-31 იანვარს ვერის ბაღის დარბაზი თავისუფალი სტილის მოკიდავეთა ეროვნულ ჩემპიონატს მასპინძლობს, ხვალ და ზეგ, ანუ 1-2 თებერვალს კი ჩემპიონატი გაიმართება ბერძნულ-რომაული ჭიდაობაში. ამ ღონისძიებებისადმი მიძღვნილ პრეს-კონფერენციაზე ითქვა, რომ ჩემპიონატები ჩატარება მაღალორგანიზებულ დონეზე, სიმნელეების მიუხედავად, გაიმება დარბაზი, ნავარაუდევი იყო, რომ ასპარეზზე გამოვიდოდა ყველა სახელოვანი მოქიდავე ფალავანი. სამწუხაროდ, ჩანაფიქრი სრულად ვერ ასრულდა — რევაზ მინდორაშვილს (84) ვეძებდით დასვენება ურჩიეს, რადგან მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ დაუყოვნებლივ გაემგზავრა ირანში საკლუბო პირველობაზე და გადაიღალა. **ლუკა კურტანიძე** კი, როგორც ცნობილია, წონას იცავს — მძიმეში გადადის. ეს ერთობაშიც არ ხდება და ამის გამო შეიქმა აუცილებელი ამ ასპარეზობის გამოტოვება. რაც შეეხება **ოთარ თუშიშვილს** (66), ის ტრავმირებულია.

ალექსეი ცოკოლაევი

მაკვალა მუხიგულაშვილი

ბერძნულ—რომაულ ჩემპიონატში ასევე სპატარო მიზეზების გამო სარბიელზე ვერ გამოვიენ **ბადრი ხასაია** (84), **ვლადიმერ გეგეშიძე** (96), **შუხრან ვახტანგაძე** (84).

პრეს-კონფერენციაზე თავიანთი ნაკრებების და ცალკეული ათლეტების გეგმებზე ამომწურავად ილაპარაკეს მთავარმა მწვრთნელებმა **ზაზა თურმანიძემ** და **ბეგი დარჩიამ**. მსაჯებმა კი ყურადღება გაამახვილეს ფილა-ს მიერ წლეულ ეროვნული ჩემპიონატი. სააპარეზოდ თვი მოიყრის თბილისის, ახმეტის, აჯარის, ქუთაისის, რუსთავის, გორის, სამტრედიის, ამბროლაურის, ხონის, ხარაგაულის, ადიგენის, კასპის, მცხეთის, ყაზბეგის, ჯარლის, დედოფლისწყაროს. 160-ზე მეტმა წარმომადგენელმა.

იხ. მე-2 გვ.

დავით ბასილაშვილი

ალექსი მოდებაძე

მილოცვები

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი დაბადებიდან 65 წლისთავს ულოცავს ვეტერან კალათბურთელს, ევროპის ჩემპიონს (1965), ევროპის ჩემპიონთა თასის (1962) მფლობელს, სსრ კავშირის ჩემპიონს და თასის მფლობელს (1968, 1969), ღირსეულ პიროვნებას **ამირან სხირტლაძეს**.

X X X

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი დაბადების დღეს ულოცავს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს და მეორე პრიზიორს (1988), სამჭიდრო მსოფლიო ჩემპიონს (1986, 1987, 1989), მეორე (2002) და მესამე პრიზიორს (1986), ევროპის ორგზის (1989) ჩემპიონს, ორგზის მეორე და მესამე პრიზიორს (2005. 1999, 2000) **ნინო სალუქვაძეს**.

X X X

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების დღეს ულოცავს ოლიმპიური თამაშების (1988) ჩემპიონს და მეორე პრიზიორს **ნინო სალუქვაძეს**.

X X X

„ლელო" უერთდება ამ მილოცვებს.

შემუშავებულ ახალ წესებზე. ითქვა, რომ ამ სიახლის გასაცნობად წინასწარი მუშაობა ჩაატარეს, როგორც მწვრთნელებთან, ისე არბიტრებთან.

გუშინ კი...

გუშინ ვერის ბაღის საალთაბურთო დარბაზში, როგორც დაგეგმილი იყო, ჩაწყო თავისუფალ ჭიდაობაში 2005 წლის ეროვნული ჩემპიონატი. საასპარეზოდ თვი მოიყარა თბილისის, ახმეტის, აჯარის, ქუთაისის, რუსთავის, გორის, სამტრედიის, ამბროლაურის, ხონის, ხარაგაულის, ადიგენის, კასპის, მცხეთის, ყაზბეგის, ჯარლის, დედოფლისწყაროს. 160-ზე მეტმა წარმომადგენელმა.

იხ. მე-2 გვ.

ჩერნიშოვთან კონტრაქტი გაფორმდა

თბილისის „დინამომ" **ანდრეი ჩერნიშოვს** კონტრაქტი გასულ პარასკევს გაუფორმა. გუშინ, კლუბის პრესცენტრში პრესკონფერენციაც შედგა და კონტრაქტის დეტალებიც გახმაურდა. დღეს კი გუნდი აიბარგება და ესპანეთში ორკვირიან საწვრთნელ შეკრებაზე წავა. ფეხბურთის რუსი სპეციალისტი საქართველოს ჩემპიონს წელიწადი და ოთხი თვე უთამაშებს.

სფფ-ს საკლუბო ლიცენზირებაში მედია რელიზი
დასაძეგზულ პირთა სწავლება-სემინარების შესახებ

2006 წლის 25-28 იანვარს, სფფ-ს საკონფერენციო დარბაზში, საკლუბო ლიცენზირების განყოფილების ხელმძღვანელობით ჩატარდა სწავლება-სემინარები საკლუბო ლიცენზირების საკითხებზე. მასში მონაწილეობდნენ ლიცენზირების თანამშრომლები, საფეხბურთო კლუბებში ლიცენზირებაზე პასუხისმგებელი პირები და ფინანსისტები. სემინარი შეიკრებოდა 11 მოდულისგან.

1. საკლუბო ლიცენზირება საქართველოში, 2. სფფ-ს საკლუბო ლიცენზირების სისტემა, 3. დებულება სადისციპლინო სანქციების შესახებ (პროექტი), 4. სპორტული კრიტერიუმები, 5. ინფრასტრუქტურული კრიტერიუმები (2 ნაწილად), 6. საკადრო-ადმინისტრაციული კრიტერიუმები, 7. სამართლებრივი კრიტერიუმები, 8. ფინანსური კრიტერიუმები, 9. საკლუბო ლიცენზირების პერსპექტივები, 10. ლიცენზირების სტანდარტი, 11. ლიცენზირების სისტემის შიდა კონტროლი.

სემინარი მიზნად ისახავდა მონაწილეთა მიერ საკლუბო ლიცენზირების მნიშვნელობის გაცნობიერებას; ლიცენზირების მოთხოვნების მაღალ დონეზე ათვისებას; მონაწილე მხარეების (ლიცენზირი-ლიცენზიატი) წარმომადგენლების გაცნობა-დაახლოებას; დისკუსიის ქართულ ფეხბურთში არსებულ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზების ძიებას; განვითარებისა და სრულყოფის მიმართულებების განსაზღვრას ქართული და ევროპული ფეხბურთის საერთო ამოცანებიდან გამომდინარე.

შეიძლება ითქვას, რომ სემინარმა გაამართლა. მან საქმიან ატმოსფეროში ჩაიარა. დამსწრეები აქტიური მონაწილეობდნენ

იხ. მე-4 გვ.

ფოტოები ელდარ მალხახოშვილისა

გაზეთის დაბეჭდვამდე:

◆ **გუშინ** გაიმართა ინგლისის თასის გათამაშების მერვედფინალური ტბას ფრესთან. 18 თებერვალს შემდეგი გენეზა ეთამაშებიან ერთმანეთს: „ბანჩესტერ იუნაიტედი" — „ლივერპული", „ჩარლტონი — ბრენტფორდი", „ნიუკასლი" — „საუთჰემპტონი", „ევერტონსი" და „ჩელსის" შორის გამარჯვებული — „ლიდსი იუნაიტედი", „ასტონ ვილა" — „ბანჩესტერ სიტი", „პრესტონი"/„ფოლჰემ ალთონ" — „ტოტენჰემი"/„მიდლსბრო", „ბოლტონი" — „ვესტ ჰემი".

◆ **კალათბურთში**, 2007 წელს, ევროლიგა — ულების „ოთხთა ფინალი" ათენში გაიმართება.

◆ **რუსეთის** ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობამ და ამ ქვეყნის შემახვედრმა ბანკმა გაათხოვა ხელშეკრულება თანამშრომლობისთან დაკავშირებით. შემაბამი ოფიციალური პირები ამ ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების გენერალური სპონსორი.

◆ **„ვანჩესტერ უნაიტედმა"** ფინალში ურიცა ლონდონის „ჩელსის". **ალექს ფერგიუსონი** და მისი კომპანია ითხოვს ამერიკელი კლუბის მიმართ სანქციის გატარებას, რადგან ეს უკანასკნელი არასწორად აწარმოებდა მოლაპარაკებას 18 წლის ნიგერიელ ფეხბურთელთა **ჯონ ობი ნიკელთან**, საქმე იმაშია, რომ დღესდღეობით ფიფა იცავდეს ფეხბურთელთაგან სასიკვდილო მუქარის შესახებ ინფორმაციას. ნიკელმა წინასწარ კონტრაქტს მოაწერა ხელი „მანჩესტერი იუნაიტედთან" შემდეგ კი გამოთქვა „ჩელსში" გადასვლის სურვილი.

ციტრე ლაბაშია

მხედრებმა სეზონი გაახსნეს

ტრადიციად ასეთი — ცხენოსნობა, ყოველი ახალი წლის სპორტულ ღონისძიებათა კალენდრის პირველი ასპარეზობით, ე.წ. „სეზონის გახსნის პრიზით“ იწყებს წლის შეჯიბრებების ათვლას. ახლა თბილისში სუსხიანი ზამთარია, მაგრამ ეს არ იქცა დაბეგმილი ტურნირის გადადების მიზეზად. ზუსტად დათქმულ დღეებში გამოეცხენენ პრეზიდენტი **თენგიზ აბუსელიძე**.

საგულისხმოა, რომ სეზონის გახსნის სტარტზე თავიანთი მზადყოფნა ამოწმებენ, როგორც პროფესიონალები, ისე მოყვარულები, ცხადია, ცალ-ცალკე.

პროფესიონალთა 10 მხედარი 120 სანტიმეტრის სიმაღლის სტაფლასხის 12 დაბრკოლების გადალახვაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. კარგია, როცა მონაწილეთა უმრავლესობას თანაბარი შანსები აქვთ, რაც ამწვავებს და უფრო საინტერესოს ხდის ნებისმიერ ასპარეზობას, მით უფრო, მხედრებისას, რადგან თვით ცხენისნობაა სპორტის ეგზოტიკური სახეობა. თქვენ წარმოიდგინეთ, დაბაბული იყო წარმატებისთვის ბრძოლა არა მხოლოდ პროფესიონალებში, არამედ მოყვარულებშიც.

პროფესიონალთა შორის საჭირო გახდა დამატებითი ხტომების ჩატარება გამარჯვებულის გამოსავლენად რამდენიმე წინააღმდეგობრივი სიმაღლეზე 130 სმ-მდე აიწია. საბოლოოდ აქ ადგილები განაწილდა ასე: 1. **ციტრე ლაბაშია** (ყოველ ცხენზე), 2. **გიორგი სამხარაძე** (შს ესპადრონი), 3. **ზაზა ჩიტრაკაშვილი** (ცირკი ატლეტიკი), მოყვარულებში კი ყველა ჯოხებს **ციტრე**

თაკვაძემ და **გიორგი სოსიაშვილმა**, ორივე მხედრის თანაბარი მაჩვენებლები აღნიშნდნენ და პირველობაც ამიტომ ორივემ გაიყო, მესამე ადგილზე გავიდა **ვახტანგ ბუცხრიკიძე**.

გამარჯვებულებს და პრიზიორებს გადაეცათ ფუფუა პრიმეები.

„სეზონის დასაწყისისთვის მხედრებმა სასურველი მომზადება გამოავლინეს. წინ სხვა შეჯიბრებები, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შემოდგომაზე „აკუსიის თასის“ გათამაშება, რომელიც ტარდება საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით და ტრადიციად იქცა. იმედია, ჩვენი ცხენოსნები ამ მეტად სპასუხისმგებლო ასპარეზობას კარგად მომზადებულები შეხვდებიან“ — გვითხრა საქართველოს ცხენოსნობის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ივანე ჯუღაშვილ**.

კავთისხეველი ფალავანი

საქართველოში ბაიდარები არცთუ ისე ბევრნი არიან. ერთ-ერთი მათგანია მოკიდევე **ვლადიმერ ბაიდაძე** („ცაცო“). ის კავთისხეველია თვალდის უბნიდან (ყასაბი).

ვლადიმერი თავისუფალ ჭიდაობაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის (1955 წელი) და სსრკ-ის პირველი სპარტაკიადის (1956 წელი) ბრინჯაოს მედლის მფლობელია, თანაც მძიმეწონასთანა შორის.

თბილისსა და საქართველოს მრავალჯერ ჩემპიონი თავისუფალ და კლასიკურ (ბერძნულ-რომაულ) ჭიდაობაში, სპორტის ოსტატი ვლადიმერ ბაიდაძე ჩამთვლელი ტიტულების გარდა სამჯერ ფლობდა „შორაპნის რეზერვების“, „დინამოს“ და „ლოკომოტივის“ საკავშირო კლუბების ნაკრების მაჯრში, მიუხედავად იმისა, რომ ვლადიმერ ბაიდაძის და გამოწრნილი მძიმეწონასნის სსრკ-ის ნაკრების წევრის **ბორის კუნავეს** ორთაბრძოლა ფრედ დასრულდა, შეხვედრის შემდეგ სარბიელთან მიეიდა წარსულში ცნობილი სახალხო ფალავანი **მიშეო მაჩაბელი** (პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონის **დავით ციმაკურიძის** მამა) და ვლადიმერს მხურვალედ გადაეხვია ვაქაცური ჭიდაობისათვის.

მეცხრეკლასელი იყო პირველად ქართველი ჭიდაობის ჩოხა რომ მორგო და მწვანე მოლზე იჭიდავა. მერე, თელავიდან ახლოს ერთ-ერთი ნახერხმორილ სარბიელზე ცნობილ მოჭიდავეს გვარად **ზვიადაძეს** რომ მოეცრა, ე.წ. შეაფეხით მიწას გაკრა „დედის ლავაშივით“, ზმორ-ზმორად დაიწყო გამოცდები ქართული ჭიდაობით გაწაწყმედ სოფლებში და რაიონებში ზემო ხანდაკში, მეტეხში, ფარავანში, საგარეჯოში, ხოდევში... ერთმა მისმა მასწავლებელმა გვარად **თანდაშვილმა** „ჩაინების ტერორისტი“ ანუ მეტოქეთა წამქცევი - უწოდა ბაიდაძეს.

მერე იყო „ბადათიოს კუნძული“ ორთაბრძოლაში. იქ სადაც უწინ ფოლკლტურის ინსტიტუტი იყო. კრიტიკ მწვრთნელმა **ბორის შელაძემ** მონიდო მა ბაიდაძის გადაბრეკა კრიჟში. მაგრამ ვალიკომ თავისუფალი ჭიდაობის პატრონარჭმ. **მიხეილ თაკალაძეს** და, საერთოდ, ჭიდაობას ვერ უღალატა. ის კი არა, მძლეოსნურ სახეობებსაც რომ ასპარეზობდა. იქაც მწვრთნელად მიჰიელ თაკალაძეს წერდა.

სხვათა შორის, ორთაბრძოლაში ვალიკო და მისი ინსტიტუტელი მოკიდავ-მეგობრები თითო წელიწადი ბერძნულ ცელესანთი ვარჯიშობდნენ. იმ დროის კომენსისტური მმართველობა ისეთ წმინდა ადგილებს, როგორიც ცელესანეთია, არ სწყალობდა, ზმორად საწყობებად და სპორტდარბაზებად აქცევდნენ ხოლმე.

გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში კვეხმიდე და მძიმე წონის კატეგორიის თავისუფალი ჭიდაობაში შორის საკმაოდ დიდი მეტოქეობა იყო. ამ წონებში გამოდიოდნენ: **ვლადიმერ ბაიდაძე, ოთარ კანდელაკი** (ლეგენდარული სახალხო ფალავანის **სანდრო კანდელაკის** ვაჟი), **შალვა მდინარაძე, ძე, ვახტანგ ლაფარი, ოთარ შინჯიკაშვილი** და მოსკოვის სახელით მოსპორტსრეზე ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი **არსენ მეკოკიშვილი.**

კავთისხეველ ცნობილ უბნებში: კავთაში, თელაღში, იღლეთში, შუბათში, აგრეთვე თელაგორაში და იქაურ ნახერხმორილ საჭიდაო მოედნებზე ტოლ ბიჭებთან ჭიდილში შეიძლება ვალიკო ბაიდაძის ნაცადი ხერხები: მოგვერიო, ბრუნი, შეგაყარი... სხვათა შორის, კავთისხეველი არცერთი ცნობილი მოჭიდავე აღიზარდა: **ნიკოლოზ (პოხორ) პაპიაშვილი, გიორგი (ფორა) როსტაშვილი, ლეო და ოთარ მოდრეკილაძეები, დიკა მონახელიძე, ვალიკო იაშვილი...**

ვლადიმერ ბაიდაძეს საკუთარი ღია საჭიდაო ჰქონდა თვალდში კაკლის ხის ძირში...

ქართული სიტყვის უმშვენიერესი ოსტატმა მწერალმა **გიორგი შატბერაშვილმა** (1910-1965), რომელიც კავთისხევი იყო, ერთელ მოთხრობაში „ქვევრის მზე“ (საკლდაო ჭა, „თუნგის ლოდს“ რომ უწოდებს) კარგად აღწერა მძიმე ჭეის აწევის ხელოვნება. ის თუნგო, მოთხრობის ერთ-ერთი მთავარი გმირი, რეალური პიროვნება იყო — ვლადიმერ ბაიდაძის დედის, **ეკა ნაცვლიშვილის** ალალი მამაშვილი — **თენგო ნაცვლიშვილი** (მოთხრობაში კობაიძის გვარითაა გადმოცემული). სავსებით ლოდის ღონისძიებით აწეული თუნგო ქართული ჭიდაობის გვარიანი ოსტატიც ყოფილა.

ორმოცდაათიან წლებში სამ მეგობარ-მოჭიდავეს **ვლადიმერ ბაიდაძეს, შოთა დაუშვილს** და **თენგიზ ელერდაშვილს** საბერთაოლოზე დღეგნდელი ტურიელის ტბაზე გვერდი-გვერდ გამოუყვეს სასახლეარე ადგილი. სამივე ოჯახი დღესაც იქ სახლობს.

თვალდში (კავთისხევში) ვალიკო ბაიდაძეს შვვნიერად აქვს მოყვილი მამა-პაპური ვენახი ჩინური (ჩინებული), ხილ-ბოსტნეი და ეზოგარემო.

გასასხენებელიც ბევრი აქვს ვლადიმერს. ერთხელ კავთისხევის კლუბში სანდრო კანდელაკი თათარ ძალოსანთან ერთად გამოსულა სცენაზე კალნეკათან დაჯიდება, რომ ვერავის გადეხდაეს, სანდროს ქართული ცეკვა დაელერთით ჩამოუცეკვა დარბაზი. ვალიკო ბაიდაძის თქმით, თურმე მთელი შენობა ზანზარებდა იმ დროს.

ბაბრიელ ბარჭაძე

ანგჩიკური ოლიმპიადებიდან დღევანდელობამდე

პირველი ოლიმპიური თამაშები

თამაშები გაიმართა საბერძნეთის დედაქალაქ ათენში 1896 წლის 6-14 აპრილს. მონაწილეობდა 13 სახელმწიფოს 330 სპორტსმენი. ანტიკური ოლიმპიური თამაშების მსგავსად თანამედროვეობის პირველ ოლიმპიურ თამაშებში ქალები არ მონაწილეობდნენ.

პროგრამაში შეიტანეს ხელოვნების კონკურსები, მან ოქროს მედლი მოიპოვა საკურატო აუზის პრიტების შეჯიბრებაში.

ფრანგმა **პოლმასონიმ** გაიმარჯვა ტრეკზე 200 მ. სპრინტში, ასევე 200 და 10 ათას მეტრიან რბოლებში. იგი პირველი ოლიმპიური ჩემპიონია ტრეკზე ველოსიპედით. თორმეტ ათამაშებს" პირველი გაკეთილი აქვს ფრანგმა ველოსიპედისტმა **მაღეინ ვიალმა**, 100 კმ-ზე რბილიან ბერძენ **გეორგიოს კოლეტოპს** მძაფრ ბრძოლაში მან დაძლია მთელი 87 კმ-ის მანძილი. ველოსიპედის მეორე ოლიმპიური ჩემპიონი ავსტრალიელი **ფრედერიკ ალტანი** გახდა 1906 წელს ათენში გამართულ ოლიმპიურ თამაშებზე.



ალორძნებული ოლიმპიური თამაშების პირველი პლაკატი (1896 წ.)

გამარჯვებით დამთავრდა. ეს იყო უღიდესი პატივისცემა მოწინააღმდეგისადმი და ნამდვილი ოლიმპიური სულის გამოვლინება.

ტანვარჯიშში მოასპარეზეთა შორის ყველაზე მეტი მედალი მოიპოვა გერმანელმა **ჭირმ ვაინგარტერმა**. მის ყუდაში იყო ოქრო — 3, ვერცხლი — 2 და ბრინჯაოს — 1 მედალი ტანვარჯიშის პროგრამის რვა სახეობიდან ხუთში გერმანელებმა გაიმარჯვეს.

თამაშების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე იყო ბერძენი ტანმოვარჯიშე **დიმიტრიოს ლუნგრართისი**. იგი 10 წლისა და რამდენიმე დღისა გამოვიდა სარბიელზე.

ოლიმპიელ ჩოგბურთელთა შორის ათენის თამაშებზე ყველაზე ახალგაზრდა გერმანელი **ჯორჯ ბოლენდი** იყო. გაიკეთა ასი წელი და ჩოგბურთელთა სალიმპიადო პატრობაში პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ყველაზე ახალგაზრდა — 17 წლისა და რვა თვის — ამერიკელმა.

პირველმა ოლიმპიურმა თამაშებმა აგრძნობინა მსოფლიოს, რომ თამაშებს აღორძინების იდეა დროული ი წარმატებული იყო. კაცობრიობამ დაინახა ოლიმპიზმის იდეების სიცოცხლისუნარიანობა და საჭიროება თანამედროვე ცხოვრებისათვის.

თამაშების ორგანიზაციასა და ჩატარებაში წარმოშობილი სიძნელეების მიუხედავად, კავშირი ანტიკურ (ძველბერძნულ) ოლიმპიადებსა და აღორძინებულ თამაშებს შორის აღსდგა.

ლაშა ჯინოშვილი
გაგრძელება იქნება.
დასაწყ. „ლელო“ №2-დან

ჭიდაობა ფარდო კლანით...

პირველი გვერდიდან

მეცნიერ პირველ დღეს გათამაშდა ოთხ წონით კატეგორიაში. 55 კგ. წონით კატეგორიაში ბასლიკ **ბესიკ გოჩაშვილი** და ქუთაისელი **მურთაზ ყვესაძე** დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. გაიმარჯვა შიდა ქართლის წარმომადგენელმა. მესამე ადგილზე გავიდნენ **ამირან ელბაქიძე** (ცარი) და **მამუკა გურგენიძე** (ხარაგაული); 66 კგ. წონაში კი სულაც გორელებს შორის გამოვლინდა გამარჯვებული — **შალვა მუზიაშვილმა** მოუყო თანაკლასელ **ცოტნე ბარამიძეს**, ხოლო მესამე პრიზიორები გახდნენ პატა ნოზაძე (ქუთაისი) და გორგი ბალიაშვილი (ცარი). 84 კგ. წონით კატეგორიაში ადგილები ასე განაწილდა: 1. **დავით ახალმოსულიშვილი** (ფარცხი), 2. **თამაზ გელაძე** (ყაზბეგი), 3. **ლერი ქეთაშვილი** და **ლევან ქილოიანი** (ცარი). მძიმე წონაში თბილისელმა **ალექსო მოდებაძემ** საკმაოდ ადვილად მოუყო ამბროლაურელ **კობა კერესელიძეს**, მესამე ადგილზე გავიდნენ **ლაზარე მარსაგიშვილი** (თბილისი) და **აკაკი საბაშვილი** (ფარცხი). დღეს მეცნეში გათამაშდება დარჩენილ სამ წონით კატეგორიაში.

ჩემპიონატის საზეიმო გახსნაზე სიტყვით გამოვიდნენ და მონაწილეებს მიესალმნენ საქართველოს პარლამენტის დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამოლაღაური** და ქიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი **კახა გეწაძე**.

ცოტნე ბაძრაძე

გუშინ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოულოდნელად გარდაიცვალა გამომცემლობა „საშობაოს“ ღვაწლმოსილი მუშაკი, მაღალი ადამიანური ღირსებებით გამორჩეული პიროვნება

ბუხუტი ბეჟუაშვილი

„ლელოს“ რედაქცია ღრმა სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სპორტის ფედერაციის პრეზიდენტის, ოლიმპიური ჩემპიონის **ავთანდილ გოგოხიას** დედა

ნინო ბეჟანიშვილი

გარდაიცვალა 30 იანვარს, 14 საათზე, 89 წლის ასაკში.

გამოსვენება 31 იანვარს, 14 საათზე, მისამართი, კეკელიძის 19.

დიდების ზენიტი ანუ ჯოჯულაროგის ექო

ექო პირველი: სლავა მეტრეველი

დაბლოებით 20 წლის წინათ, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფუტკეთინორებდა, თბილისში, საბჭოთა დაურეკა სლავას და „დინამოს“ სტადიონზე საკავშირო პირველობის მატჩზე ერთად წასვლა შეეთავაზებინა. დათანხმდა. სალამო ხანს, სასტუმროს შესასვლელთან შეეხვედით ერთმანეთს. სასტუმროში მისალმებად მის სახელზე საჭვი არ გამიმეწერია. ეიფორიკე, როგორც შეიძლება, ჯილოა კარისკაცებს არ სცნობოდათ მისი პიროვნება. ისინი ოთხი თუ ხუთნი იყვნენ. შესულისას მათ გაზეპირებული ფრაზით საქმი მოითხოვეს, მაგრამ **გაგრილ კაჩალინის** სახეს რომ შეხედეს, გულისხვა გაუღიმეს და ძირფას სტუმარს გზა დაუთმეს. კაჩალინსაც გაეღიმა. ერთ-ერთმა იმ ოთხ თუ ხუთთაგან აღფრთოვანებით ხელები მაღლა აღაპარა და ხმამაღალი დამაჯერებელი ტონით წარმოთქვა:

— გაგრილ დიმიტრის ძეს თქვენ ხართ ერთ-ერთი უდიდესი მწერალი მსოფლიოს უდიდეს მწერალთა შორის!

— იგი უკვართ და განუზომლად დიდ პატივს მიაგებენ ყველგან, მას ყველა სითბოთი და სიყვარულით ეკერობა — გავიფიქრე ჩემთვის და დიდ მწერალთან ერთად სასტუმროში შევედი.



ექო მესამე: ვიქტორ ბანიკოვი

1987 წლის სექტემბერში მოსკოვში სამსახურებრივი მივლინებით ჩავედი. წინასწარი, სატელეფონო საუბრის შეგვიობით, შეთანხმებისამებრ, ერთმანეთს დათქმულ დროზე შევხვდით მე და წარსულში ცნობილი მკარე. ჩემი მეგობარი **ვიქტორ ბანიკოვი.** ჩვენ ერთად გავეგზავნეთ სამუშაოთა კავშირის ნაკრების ბაზაზე ნოვოგორსკში. მაშინ ნაკრების დიდი **ვალერი ლობანოვსკი** წერთნილად ვიქტორს მასთან საქმიანი შეხვედრა ჰქონდა.

... იქიდან დაბრუნებულმა ჩემი წინადადების რეპორტიორში შესახებ გადმეცნიერი. ვიქტორმა თავის მეგობარს დაურეკა. ისიც მალე მოვიდა. ჩვენ — სამივე სასტუმროს „რესიას“ 21-ე სართულზე განთავსებულ რესტორანში ავედით.

...ადგილები არ არის,“ — გვაუწყებდა შესასვლელთან ჩამოკიდებული აბრა. იქვე, „გამაბეზრებელ მაგიდასთან“ ორი ახალგაზრდა, ლამაზი რუსი ქალიშვილი და საშვალო ხნის მამაკაცი იხსხენენ. ჩვენ მათკენ შევტრიალდით.

მამაკაცი მომენტალურად ფეხზე წამოდგა, ჩვენს შეკითხვასა და თხოვნას ალარ დაელოდა, გვითხრა:

— ვიქტორ ბანიკოვისთვის არა თუ მარტო „რესიას“ რესტორანში, არამედ, ყველგან, ყველა რესტორანის კარი ღიაა. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

ქეთილ ჯაცს ვიქტორმა თბილად გაუღიმა და მადლობის ნიშნად ხელი ჩამოართვა. ჩვენც მადლობა გადავუხადეთ. რესტორანში შესულის შემდეგ ვიქტორის ვეუხარი:

შენ, კაცს ჯვილებურად უფარხარით და პატივს გცემენ!

ვიქტორს გაეღიმა... რესტორანში დიდხანს დაეჩრიო.

ექო მეოთხე: პელე

კოლუმბიაში, სადაც „სანტოსი“ გამოდიოდა, **„სანტოსში“** კი დიდი **პელე** თამაშობდა, ადგილობრივმა მსაჯმა თავის გამოჩენის მაზნით პელე მოედნიდან გაიძეკა (ჩვენ საკუთარი თავის უკუდავყოფადაც). გულშემატკივრები აღშფოთდნენ, სტადიონზე სრული უწესრიგობა შეიქმნა. სამჭიდ პოლიცია ჩარია. ტორსიდა მაინც ვერ დაწყნარეს, ვიდრე მოედნიდან არ გაიძეკეს... მატჩის მთავარი მსაჯი. მისი ფუნქციის შესრულება გვერდით მსაჯს დავალა. მან კი, პირველი, რაც მოიმოქმედა, ის იყო, რომ უკვე შხამმოებული და დასასვენებლად ჩამოჭდარი პელე გასახდელიდან ამოიყვანა და მატჩში ბოლომდე თამაში სთხოვა...

პელე უკუდავების ღირსია — ირწმუნებიან ბრაზილიელები. არც ცდებიან.

ექო მეხუთე: ბარინჩა

გასული საუკუნის სამოციან წლებში **გარინჩა** „ბოტაფოგოს“ შემდგენლობაში ბრაზილიის ერთ-ერთ პატარა ქალაქში ჩავიდა მორიგი მატჩის ჩასატარებლად. „ბოტაფოგოს“ **ჯიან სანდლანია** წერთნილად — გამორჩენი ფეხბურთელი და სახელოვანი ფურნალისტი. სალდანია და გარინჩა სასტუმროს ნომერში ერთად ცხოვრობენ. ორივენი ფანჯარასთან იდგნენ და ქალაქს ყოველდღიური ცხოვრების რიტმს აკვირდებოდნენ.



ქუჩის მეორე მხარეს ორი ბოტკინი იყო განთავსებული („ბოტკინი“ — ასე უწოდებენ ბრაზილიაში — **ნ.ბ.**) ერთი ბოტკინი დილიდან საღამომდე იყო დატვირთული — ხალხს უწესებ ნაყიდ შეღონდა და გამოდიოდა. იქვე, მეორე ბოტკინში კაცის ჯაჭანა არ იყო. მოწყენილი ბარმენი მერამდენედ წმენდა ჭიქებსა და თეფშებს, მაგიდებს მტვრისაგან ასუფთავებდა.

გარინჩამ დიდხანს უყურა ამ სურათს, შემდეგ მწერინელს ბოდიში მოუხადა და ძირს ჩავიდა. სადარბაზოდან გაიიდა და ქუჩა გადაჭრა. ხალხი გაოცდა და გაბეჭდა. მათ შორის გარინჩა მიეიოდა — ცოცხალი გარინჩა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, მსოფლიოს ფეხბურთის ლეგენდა.

გარინჩამ ქუჩა შეუხდა გადვარა, თვალი მოავლო თაფანისმცემლებს და ხალხმრავალ ბოტკინეში არ შეეიდა. გაიარა რამდენიმე ნაბიჯი და ცარიელი ბოტკინის კარი შეალო. გაოცებულ ბარმენს ხელახლა ბოკალი გაუვარდა. დაიბნა.

გარინჩა მივიდა ბარმენთან, მოითხოვა „ცაჟაზინი“, დალია, დანახარჯი გადაიხადა, ბარმენს ბეეჭებე ხელი მოუტყაპუნა და ბოტკინიდან გავიდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ბარ ხალხით გაიესო. აკანკალებულმა ბარმენმა სკამი, რომელზეც გარინჩა იჯდა, კედელზე მიამაგრა. კედელზე ჩამოკიდა ამერეთე ჰიქა, რომლითაც გარინჩამ ცოკა დალია.

... იმ დღიდან მოხუც ბარმენს უდარდელი სიცილე გარანტირებული ჰქონდა.

... ბრაზილიელებმა გარინჩას, „ხალხის სიხარული“ შეარქვეს. გარინჩას გარდაცვალების შემდეგ, მის საფლავიდან ოდნავ მოცილებით დიდხანს ჩანდა ზეით ასოებით გაკეთებული წარწერა:

„...გმადლობთ, გარინჩა იმისათვის, რომ შენ არსებობდი“...

ექო მეექვსე: ედუარდ სტრელცოვი

ლუნინეცში ერთ-ერთი უღამაზესი ადგილია მოსკოვში, ხოლო აქ განთავსებული ცენტრალური სტადიონი, ერთ-ერთი ელეგანტური სპორტული ნაგებობა მსოფლიოს სპორტულ ნაგებობათა შორის. ამ სტადიონზე არაერთი საფეხბურთო თუ სპორტული ღონისძიება მიწარსულა. 1976 წლის დასაწყისიდან მოყოლებული, 1995 წლის დასაწყისამდე (ამის შემდეგ მოსკოვში აღარ ეფუფულება). ცხრამეტი წლის განმავლობაში აქ ათეულობით საფეხბურთო მატჩის თუ სპორტის სხვადასხვა სახეობათა სპორტიული პრიპეტიების მოწმე ვყოფილვარ. უნიკალური ღუნინეცების შემოგარენი — ხეივანი. მაღალი, ცაში ატყორცნილი ხეები. მწვანე ბუჩქები, სხვადასხვა ფერის ქვა-ღორღითა და სილით მოფენილი პარკები, მოკირწყლული სკვერები.

მე ამ ადგილების ხშირი სტუმარი გახლდით წელიწადის ყოველ დროს. ამ ქალაქში ჩემი რამდენიმე ათეულობით ვიზიტის განმავლობაში, ხშირად, ხალხი ვკმაყოფილებით ხილვე ღუნინეცის ხეივანს, ვის არ ნახავდით აქ პვნსიონერებს, ვეტერან სპორტსმენებს, მომლერალს, ყოველ პარტიულ და სახელმწიფო ფუნქციონერებს, ჰაბუკებსა და ულამაზეს ქალიშვილებს და რაც მთავარია, აქ თავს იყრიდნენ დამსაბურებული, სტადიონი გულშემატკივრები. ისინი ცალ-ცალკე 15-20-კაციან ჯგუფებად განცალკევებოდნენ და ათასნაირ ამბებს ყვებოდნენ. მოცილობის ჟამს მეც ვჭით მივეშორებოდი. ხან ერთ ჯგუფთან ვიყავი, ხან მეორესთან... რას და ვის არ იხსენებდნენ, განსაკუთრებით ერთი კაცი დამამახსოვრდა. დღეს მისი სახელი და მამის სახელი აღარ მახსოვს. მაშინ კი კარგად ვიცოდი. ეს კაცი თავს **ედუარდ სტრელცოვის** მეგობრად ასაღებდა. მას სხვებიც ემოწმებოდნენ, როგორც იგი ამბობდა, ედუარდ სტრელცოვი პეროვნი (ცალკი, სადაც ედუარდ სტრელცოვი დაიბადა) მისი მეზობელი ყოფილა თურმე. ერთად იზრდებოდნენ და მეგობრობა ბოლომდე არ გაუწყვეტიათ. ეს წარმოსადგენი რუსი კაცი ათასნაირ საფეხბურთო თუ არასაფეხბურთო მომენტებს იხსენებდა, რა თქმა უნდა, უფრო მეტს ედუარდ სტრელცოვის ირგვლივ. ერთი, მის მიერ მონათხრობი, იმ მოკალთაგან, განსაკუთრებით დამამახსოვრდა.

აი, რა გეიამბო მან 1991 წლის ნოემბერში:

„ — მაშინ, როცა ეს ამბავი მოხდა, ედუარდი ჯერ კიდევ თამაშობდა „ტორპედოში“ და სპრ ნაკრებში, ფეხბურთში მერიგ დაბრუნების შემდეგ. ედუარდ სტრელცოვი დიდ ფეხბურთს 1965 წლის დასაწყისში დაუბრუნდა და ითამაშა 1970 წლამდე — **ნ.ბ.**) ერთხელ მან დამირეკა და მთხოვა წავყოლოდი ენუკოვს ერთ-პორტში მისი ახლობლის გასაცილებლად. ედუარდი საკუთარი „ვოლგით“ იყო. საქესთან თვითონ იჯდა. მისი ახლობელი მამაკაცი ავრეპორტში დატოვეთ და უკან გამოვბრუნდით. ედუარდ ჯინსის ტანსაცმელი ეცვა. მართვის მოწმობა სახლში პიკასის ჯიბეში დარჩა. ერთ-ერთი ცენტრალური ბენის რომელიღაც მონაკვეთში ავტოინსპექტორმა გაგვაჩერა. გაგვაჩერდა, სიჩქარე არ გადაუვარბებია, არც შუქფონის ზოლები გადაუკვეთია. რაც ერთად გვიკლია, პირველად ჯერ, რომ გაგვაჩერეს. ედუარდის სახელი მაშინ ქუთაისშიც ცნობილი იყო. მან მაინც ვერ ვიხსენებ ინსპექტორის გვარს, ავტოინსპექტორი მის წინ გაიშვა და ვინაობა მაინც ვერ გამოიცნო. ედუარდ მანქანიდან გადმოვიდა. არც ერთი მძღოლი მანქანიდან არ გადმოსულა, სარკვლიდან აწოდებენ საბუთებს... ის გადმოვიდა, დოკუმენტები ავტოინსპექტორს მიაწოდა. ახალგაზრდა ბიჭი იყო, უწვრილი. მან ედუარდ ვერ იცნო. იჭვებ ფეხბურთის მატჩი არც ტელევიზორში და არც სტადიონზე ენახა. ასეთებიც. მართალია, ედუარდ ენუკოვს მანც ხომ არიან? დოკუმენტებს ირიბად შეხედა და მარჯვნივ მოწმობა მოიითხოვა.

ედუარდმა ცოტა დაბნეულად აუხსნა...

— სად მუშაობ? — უკადგილოდ ჰკითხა მილიციელმა.

— არ ვმუშაობ, ვიმაშაობ — ღიმილით უპასუხა ედუარდმა.

— რას თამაშობ?

— ფეხბურთის!

— ფეხბურთის თამაშობ? ერთბაშად შენც სტრელცოვისნაირად არ თამაშობდე...

— ირონიულად ჩაილაპარაკა ავტონისპექტორმა.

— სტრელცოვისნაირად დიახ, რომ ვთამაშობ, უკეთესად კი ნამდვილად ვერ ვაგრისხებ — ღიმილით უთხრა ედუარდმა.

— ერთი ამ თვითმარქვას დამიხედეთ, — ხმაში გაბრაზება შეეპარა მილიციელს, — მართვის მოწმობის უქონლობის გამო სასჯელი გელით, — თქვა მან და ავტოინსპექტორთა ჯიხურისაკენ გაწერა. ედუარდ გაჰყვა. მე მანქანიდან გადმოვედი და მათ კვალს გავყევი. ჯიხურიდან უცბად ეიღა მილიციის კაპიტანი გამოვარდა, — ძიერრფასო ედუარდო, — დაიძახა და მას გადაეხვია. სტრელცოვი უხერხულად შეიშმუშნა. კაპიტნის საქციელს სხეებმაც მიბაძეს. ედეკი კინალამ მოფერებით დაახრჩეს.

— ეს ვინ გაიჩინე, შე ყკეტო! — ღიმილით შეეკრიალა კაპიტანს ავტონისპექტორი. იგი გაშეშებული იდგა. საბუზე ფერი აღარ ედო. მიხედა ვინც გაიჩინა.

— ეს რა კარგი დღე გამითენდა, — ხმამაღლა თქვა მან. მე თქვენი თაყვანისმცემელი ვარ. „ტორპედოს“ არე ერთი თამაში არ გამიცდენია, არც სტადიონზე. არც ტელევიზორით. ახლოკი არ მინახიხარი, ამიტომაც ვერ გიცანით, — წარმოთქვა დაბნეულმა, — დღეს კი ასე ახლოს პირველად გხედავთ და ედეკს გადავხვევი. მაპატიეთ... ლუღლუებდა იგი. მალე გაგიჭვეს.

ის ბიჭი შემდეგ ხშირად ურეკავდა ედუარდს, დღესაც ურეკავს, ედუარდის დაბადების დღეც არასოდეს დავიწყებია. ერთი-ორკერ ედუარდთან და კიდევ ორ ჩვენ მეგობართან ერთად დაგვპატიჟა და „ასი გრამი“ დავლიეთ კიდეც.

როცა ედუარდ სტრელცოვი გარდაიცვალა, დაკრძალვის დღეს მილიციელის ფორმით მოვიდა, აღბათ, რომ გვეცნო იმატომ; გული დაიტოსა მივცალებული.

... „ედუარდ სტრელცოვი ყველა დროის უდიდესი რუსი ფეხბურთელი იყო“. — შეეფალა აცხადებს მისი თანამემამულეები.

შეეფალი და კატეგორიული ვიქნები მეც:

— ნამდვილად ასეა.

ნუგზარ მგელაძნიშვილი
საქართველოს ჟურნალისტთა შეფდარეცის წევრი. ქ. ქუთაისი.

იქო ასეთი შემთხვევა



ერთ-ერთმა უცრანეულმა გაზეთმა 1997 წელს გაავრცელა ცნობა იმის თაობაზე, რომ კიევის „დინამოს“ ფეხბურთელი ანდრეი შევჩენკო „მილანში“ ამპრებდა გადასვლას. კიეველმა კლუბის პრეზიდენტმა, ცნობილმა საფეხბურთო ფუნქციონერმა სურკისმა გავრცელებული ინფორმაციაც სიცრუედ ჩათვალა და სარჩელი შეიტანა სასამართლოში. სურკისმა პრეცედენი მოიგო, რითაც სპორტული გამოცემა გაცოტრდა. შევჩენკომ კი, როგორც იცით, მოგვიანებით მაინც ჩაიცვა „მილანის“ მაისური.

იქნებ ელიტლიგა გავხდეთ?..

